N 036
09.03.2026 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, „ავტოვაზის“ მიმდებარედ;
საკადასტრო კოდი: 01.19.18.005.294;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო;
ფართობი: 4157.00 კვ.მ;
მესაკუთრე (ები) : შპს „კ- მოტორსი“, ID ნომერი:406058126;

2026 წლის 03 მარტს შპს „კ- მოტორსი“-ს, ID ნომერი:406058126მომართვის საფუძველზე ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა, საკადასტრო კოდი: 01.19.18.005.293, მიწის ნაკვეთზე არსებული **12** ძირი ხე-მცენარის ზოგადი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოცემულია ცხრილში. (N 1)

მწვანე ნარგავების სახეობრივი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები

ცხრილი N 1

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	ს/ფორმა	მდგომარეობა	შენიშვნა
1	შავი ვერხვი, ოფი (Populus nigra, pyramidalis)	56	ხე	საღი	
2	ტირიფი (Salix)	44	ხე	საღი	
3	თელა (Ulmus)	25-32.5	ხე	საღი	ორკაპა
4	ჰორიზონტალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens horisontalis)	28	ხე	საღი	
5	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	74.5	ხე	ხმობადი	ამორტიზებული
6	თელა (Ulmus)	34.5	ხე	საღი	შესაძლებელა გადარგვა/გახარება სპეც.ტექნიკით
7	თელა (Ulmus)	32.5	ხე	საღი	შესაძლებელა გადარგვა/გახარება სპეც.ტექნიკით
8	თამარიქსი, იალღუნი(Tamarix)	8-26	ბუჩქი	საღი	მრავალღეროიანი
9	თამარიქსი, იალღუნი(Tamarix)	7-32	ბუჩქი	საღი	მრავალღეროიანი
10	თელა (Ulmus)	16.5	ხე	საღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას
11	აილანთუსი,ხემყრალა (Ailanthus altissima)	15.5	ხე	საღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას

შპს „ეკო გარემო“

12	კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia)	3	ხე	საღი	ექვემდებარება გადარგვა/გახარებას

ტერიტორიაზე არსებული 12 ძირი მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით:
ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 9 ძირი, მათ შორის:
მაღალი ღირებულების ჯგუფის 5 ძირი:
- 1 ძირი კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia)
- 4 ძირი თელა ჩვეულებრივი (Ulmus foliacea)

დაბალი ღირებულების ჯგუფის 4 ძირი:
- 1 ძირი ტირიფი (Salix)
- 1 ძირი შავი ვერხვი, ოფი (Populus nigra, pyramidalis)
- 1 ძირი აილანთუსი,ხემყრალა (Ailanthus altissima)
- 1 ძირი კანადური ვერხვი (Populus deltoides)

წიწვოვან სახეობათა ხე-მცენარე 1 ძირი:
დაბალი ღირებულების ჯგუფის 1 ძირი:
- 1 ძირი პირამიდალური კვიპაროსი (Cupressus sempervirens Pyramidalis)

ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობათა მცენარე 2 ძირი, მათ შორის:
- 2 ძირი თამარიქსი, იალღუნი(Tamarix)

ტერიტორიაზე აღრიცხული 12 ძირი ხე-მცენარიდან:
ხმობადია: 1 ძირი ხე-მცენარე:
- 1 ძირი კანადური ვერხვი (Populus deltoides)

საღია: 11 ძირი ხე-მცენარე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის N 11-58 დადგენილებით **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“**, (მუხლი 29, პუნქტი-5, განკაგულება N 3-1, 21 ნოემბერი 2025წ.),), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/ გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. ან/და გადარგვას.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ასევე მის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ ტეერიტორიაზე მწვანე ნარგავების გადარგვა ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

ხე-მცენარის ამოღება და გადარგვა

მცენარეები, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 25 სმ. დიამეტრს შესაძლებელია გადაირგოს როგორც ხელით, ასევე სპეციალური გადამრგველი მანქანით, ვინაიდან ხე-მცენარეები არის მცირე ზომის მათი გახარების ალბათობა საკმაოდ დიდია, ხოლო დიდტანიანი (25 სმ. დიამეტრზე მეტი) ხეების გადარგვა უნდა

მოხდეს სპეციალური ტექნიკისა და გადამზიდავი მანქანა-დანადგარების საშუალებით,აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხის დიამეტრისა და სიდიდან გამომდინარე, ბუნებრივი არეალიდან ამოღებამ და სხვა ნიადაგში გადატანამ, შეიძლება გამოიწვიოს მისი ხმობა

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდ ტანიანი ხეების კომს, ასევე უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ყუთი) ფიცრის ან სხვა მასალისაგან (კომი მთლიანად უნდა შეიკრას ყუთით), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად.სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. არ დაზიანდეს მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან,რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება.
ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდ იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.
ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლ. დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ფოტო თან ერთვის

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი

Mzia Jikia 53001001660

Digitally signed by Mzia Jikia
Date: 2026.07.13 13:55:04

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru, ecogaremo@gmail.com.

გზატკეცილი კახეთი, „ავტოვაზის“ მიმდებარედ; ს /კ: **01.19.18.005.293;**









გზატკეცილი კახეთი, „ავტოვაზის“ მიმდებარედ; ს /კ: **01.19.18.005.293;**









გზატკეცილი კახეთი, „ავტოვაზის“ მიმდებარედ; ს /კ: **01.19.18.005.293;**









გადასარგავი ხე:
6.
მოსაჭრელი ხე:
5. (ამორტიზებულია და სახიფათოა ქვეითთათვის)



BILDHAUER

მერაბ ქოსტავას ქ.
0108 თბილისი, საქართველო

o.kutchava@bildhauer.ge
(+995) 551 77 99 66

Exhibition hall

Project Number

პროექტის დასახელება

#AP2501

მისამართი:

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , "ავტოვაზის" მიმდებარედ

დამკვეთი:

k-motors

ფაზა:

DD

დისციპლინა:

არქიტექტურა

ნახაზის დასახელება:

გენგეგმა

მასშტაბი:

1 : 240

ფორმატი A3

შენიშვნა:

მოცემული ზომები უნდა დაზუსტდეს ადგილზე!

ზომები მოცემულია მმ-ში. ნიშნულები მ-ში. თუ აღნიშნული სიმბოლო არ კარნახობს სხვას.

შესრულების ეტაპზე ნებისმიერი ცვლილება უნდა შეთანხმდეს ავტორთან.

ფურცელზე ნახაზის მასშტაბი არ უნდა დაირღვეს! (ბეჭდვისას აწდა სხვა ნებისმიერი სახით

ავტორი: ოთარ კუჭავა

ხელმძღვანელი

არქიტექტორი

Designer

დახაზა: Author

შეამოწმა: Checker

COPYRIGHT: ყველა უფლება დაცულია. პროექტის ნებისმიერი სახით გამოყენება სხვა პირის მიერ აკრძალულია ©

თარიღი: 06/06/24

ფურცლის ნომერი:

A101

ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, "ავტოვაზის" მიმდებარედ

ს.კ 01.19.18.005.294 2151კვმ

მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადების განყოფილება		
განყოფილების უფროსი:		
მთავარი სპეციალისტი:		
საინვესტიციო განყოფილება		
განყოფილების უფროსი:		
მთავარი სპეციალისტი:		
მიწის ნაკვეთის ფუნქცია და ქალაქმშენებლობითი პირობების პარამეტრები		



პირობითი აღნიშვნები

საცხოვრებელი შენობა	ცოცხალი ბაზის ღობე
არასაცხოვრებელი შენობა	ასფალტის გზა
ფარდული	გაზი
ბეტონის ფილა	არხი
მშენებარე შენობა	ბორტქვეული
რეზერვუარი	სერვიტუტი
ელ. კარადა	შიდაკვარტალური ბილიკი
	ბეტონის კედელი
	აღმართის კარები
	ელეონების ბაზის ღობე
	ელ. საღენი
	გაზი
	არხი
	ბორტქვეული
	ნაშენებული გრუნტი
	ხიბრიდი
	გრუნტის გზა
	ცოცხალი ღობე
	მიწის ნაკვეთის საზღვარი
	მეზობლის მიწის ნაკვეთის საზღვარი
	ხეები, ბალში, წიწვოვანი ხე, ბუჩქოვანი
	ბოძები
	ელანთების ელ. ბოძი
	ორკარი, საოფლეთოველო ჭა
	საგზაო ნიშანი-ანა, ანძენი

"შპს "შენარე სტილი" მპატრონ. ქ. ბიბ. 579 ქ. ბიბ. dkaxmeti@gmail.com

დირექტორი	დ.ჯახნიაშვილი
ხელმძღ.	დ.ჯახნიაშვილი
დახაზა	დ.ჯახნიაშვილი
მ 1:500	16.02.2026წ.

შპს „ ეკო გარემო“



ხის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია

შპს "ეკო გარემო"

26.06.2026

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველასგამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71
Email: mziajikia@mail.ru; ecogaremo@gmail.com

1. ზოგადი ნაწილი

მერქნიანი მცენარეები გვხვდება ხეებისა და ბუჩქების სახით.

ხე-ხანგძლივად მცხოვრები მცენარე, რომელსაც აქვს მრავალწლოვანი გახევებული ღერო და ფესვები ბუჩქისგან განსხვავებით. ხის ღერო (შტამბი) და ვარჯი ყოველთვის მკვეთრად გამოხატულია.

ბუჩქი-ტანდაბალი მრავალწლოვანი მერქნიანი მცენარე, რომელიც ხეებისაგან განსხვავებით ნიადაგის ზედაპირიდანვე ძლიერედ იტოტვება და მკვეთრად გამოხატული მთავარი ღერო არ აქვს.

ხე- ფოთლების მიხედვით იყოფა **წიწვოვან** და **ფართოფოთლოვან** სახეობებად. პირველი გამოირჩევა უხეში მარადმწვანე ნემსისებრი ანქერცლისებრი ფოთლებით. ფართო ფოთლოვანი ხეებისთვის დამახასიათებელია ფართო და ბრტყელი ფოთლები, რომლებიც ჩვეულებრივ წელიწადში ერთხელ ცვივა

ფოთლების კლასიფიკაციის გარდა ხეები იყოფა აგრეთვე **ფოთოლმცვენ** და **მარადმწვანე** ჯგუფებად.

ხეების ძირითადი ნაწილებია: **ფესვი, ღერო, ვარჯი, ფოთოლი.**

1. **ფესვი** — ძირითადი ვეგეტატიური ორგანო, რომლის ფუნქციებს შეადგენს წყლისა და მასში გახსნილი მინერალური ნივთიერებების შეწოვება ნიადაგიდან, მცენარის მიმაგრება ნიადაგზე, მთელ რიგ ორგანულ ნივთიერებათა სინთეზი.

2. **ღერო** —ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომელიც ფოთლებთან ერთად ყლორტს შეადგენს. აქვს საყრდენი, გამტარი, დამგროვებელი ფუნქციები.

3. **ვარჯი** —ხის ტანის მიწის ზედა განშტოება. სხვადასხვა სახეობის ხეებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმის ვარჯი აქვთ.

4. **ფოთოლი**-უმაღლეს მცენარეთა ორგანო, რომელიც ასრულებს ფოტოსინთეზის და ტრანსპირაციის ფუნქციებს, ახორციელებს აირცვლას გარემოსთან და მონაწილეობს მცენარის ცხოველმოქმედების სხვა პროცესებში.

2. ხე-მცენარეების გადარგვა

ხეების გადარგვა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და ეს ეხება ყველა ზომის ხეებს, მათ შორის დიდ და ასაკოვან ხეებს.

სხვადასხვა ზომისა თუ სახეობის ხის გადარგვა უკვე პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან არსებობს სპეციალური ტექნიკა და გადამზიდი მანქანა-მექანიზმები, რაც საშუალებას გვაძლევს შევინარჩუნოთ მწვანე საფარი.

ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს მნიშვნელოვანია ურბანულ სივრცეში არსებული მწვანე საფარის შენარჩუნება და გაზრდა, ამიტომ ტერიტორიაზე, სადაც მწვანე ნარგავების დაზიანების ალბათობა დიდია, საუკეთესო საშუალებაა გამოვიყენოთ ხეების მეთოდი.

დღეისობით ყველაზე მეტად გავრცელებულია ხეების გადარგვა მიწის კომით, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობები აქვს, რაც უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს კომში ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელი.

ხე-მცენარეების გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდი ზომის ხეების გადარგვისას მიწის კომის და მასთან ერთად ფესვთა სისტემის შესანარჩუნებლად გამოიყენება სხვადასხვა შესაფუთი საშუალება: ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის კონსტრუქციეები, ჭილოები და სხვა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პერიოდში.

მისამართი: ქალაქი თბილისი, გზატკეცილი კახეთი, „ავტოვაზის“ მიმდებარედ;
საკადასტრო კოდი: 01.19.18.005.294;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო;
ფართობი: 4157.00 კვ.მ;
მესაკუთრე: შპს „კ- მოტორსი“, ID ნომერი:406058126;

ტერიტორიაზე არსებული გადასარგავი მცენარე 1 ძირი:
1 ძირი თელა (Ulmus) N 6დ. 34. 5 სმ;

1 ძირი თელა (Ulmus) N 6 დ. 34. 5 სმ;

გადარგვა განხორციელდება იმავე საკადასტრო ერთეულში, აღნიშნული მცენარის დიამეტრის, სიმაღლის და მდებარეობის გათვალისწინებით გადარგვა შესაძლებელია ექსკავატორისა და ამწეს გამოყენებით

თავდაპირველად უნდა მოხდეს ნიადაგის, კერძოდ დასარგავი ორმოს მომზადება, რომლის სიგძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. შემდეგ ხის გარშემო მიწის კომის მოჭრა 2.0-2.0 x 0.8მ.პროპორციით,ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში,ან გამოვიყენოთ სხვადასხვა შესაფუთი საშუალება: ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის კონსტრუქციეები, ჭილოები და სხვა, რომელმაც უნდა

უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პერიოდში.ტიპიური მექანიზმი შედგება რამდენიმე რიგი ნიჩბებისაგან, რომელიც გარშემოერტყმება ხეს და ახდენს მის გარშემო წრიულად ჩაბარვას. შემდეგ ხდება მისი ნიადაგიდან ამოღება ხის ფესვებთან და მიწის კომთან ერთად.

არ უნდა მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება, შეფუთული მცენარე ავტოამწეს კაუჭზე იმგვარად უნდა გამოებას, რომ ყუთი და მცენარის ღერო ოდნავ გვერდზე გადაწეულ მდგომარეობაში იყოს.

აწევისას მცენარე იღებს ჰორიზონტალურ მდგომარეობას და ასევე დაწოლილი უნდა მოთავსდეს მანქანის ძარაში ან სპეციალურად კონსტრუირებულ ურიკა-ფორანზე. მანქანიდან შეფუთული მცენარის გადმოღებისას გვარლი ყუთს ისე უნდა შეებას, რომ ხე ვერტიკალურად აიწიოს. იმ შემთხვევაში თუ მცენარის ზედა ნაწილი უფრო მძიმეა და დასძლევს ყუთს, საჭიროია ხის ღეროს თოკი მოებას და მოვსდოთ კაუჭს, რაც მცენარეს მისცემს ვერტიკალურ მდგომარეობას.

ფესვთა სისტემის უკეთესი ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა მოხდეს მცენარის ტოტების მაქსიმალურად შეკვეცა.

მოზრდილი ხის დასარგავ ადგილას ორმოს თხრიან იმ ვარაუდით, რომ კომი მიწასა და ორმოს ნაპირებს შორის დარჩეს თავისუფალი სულ მცირე 50 სმ სიგანის ადგილი, ხოლო სიღრმეში 30-50 სმ. ფსკერზე ყრიან ფხვიერ ნოყიერ მიწას, რადგან ახლად დარგული ხე ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ მაღლა უნდა იყოს (დაჯდომის შემთხვევისათვის). ორმოში ფრთხილად უნდა ჩავუშვათ ორმოში მოთავსებულ მცენარეს შემოეყრება შეზავებულ ფხვიერ მიწა, მაგრად შემოეტკეპნება ირგვლივ კომის მიწის შეუხებლად და აივსება ყველა ცარიელი ადგილი, რაც უზრუნველყოფს კონტაქტს ფესვთა სისტემასა და ნიადაგს შორის.

გადარგულ ხე ჭარბად ირწყვება, რომ მიწით ამოივსოს სიცარიელე. ხის ღეროს მისი სიმაღლის ნახევარზე ზემოთ, შემოეხვევა ქეჩა და მსხვილი თოკით ან მავთულით ნიადაგში ოთხ ადგილას დამაგრდება.ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა. მინერალური სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი მინერალური სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად).

ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის შხამ-ქიმიკატების გამოყენება სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

თელა (Ulmus) N 6დ. 34. 5 სმ; — მერქნიან მცენარეთა გვარი თელისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი. სიმაღლე 30-40 მ აღწევს. აქვთ წვრილი, კონებად შეკრებილი, უმეტესად ორსქესიანი ყვავილები, ფრთიანი კაკლუჭა ნაყოფი.

თელა ყინვაგამძლე და ჩრდილის ამტანია, ეტანება ნოტიერ და ტენიან ნიადაგს, თუმცა ბევრი გვალვასა და სუსტად დამლაშებულ ნიადაგსაც ეგუება. ყვავილობს (ფოთლის გაშლამდე) და ნაყოფს ისხამს ადრე გაზაფხულზე,ცოცხლობს 200-400 წელს.

ნაყოფმსხმოიარობას იწყებს 15-40 წლის ასაკში. მრავლდება თესლით, მყრობითა და ფესვის ნაბარტყით. უხვად ივითარებს ძირკვის ამონაყარს. ღრმად განვითარებული გვერდითი ფესვების გამო ქარი ვერ აქცევს. იყენებენ ბაღ-პარკებისა და მინდორსაცავი ზოლების გასაშენებლად. ქუჩებისა და გზების გასამწვანებლად. თელის მერქანი გამძლე და მაგარია, ძვირფასი საავეჯე მასალაა იყენებენ მშენებლობაშიც.

შპს "ეკო გარემო"

შპს „ეკო გარემო“-ს დირექტორი / მ. ჯიქია /

26.06.2026 წ.

თანხმობა მომსახურების გაწევაზე

შპს „კ- მოტორსი“, ID ნომერი:406058126

მოგახსენებთ, რომ შპს „ ეკო გარემო“ თანახმაა განახორციელოს თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მისამართი: ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, „ავტოვაზის“ მიმდებარედ;, საკადასტრო კოდი:01.19.18.005.294, დიდტანიანი ხეების გადარგვითი სამუშაოები მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში, თანდართული ხეების გადარგვის მეთოდოლოგიითა და შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ტერიტორიაზე არსებული გადასარგავი მცენარე 1 ძირი:

1 ძირი თელა (Ulmus) N 6 დ. 34.5 სმ;

შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი / მ. ჯიქია /

შპს "ეკო გარემო"